6650/4-2/21 2 29062021

6650/4-2/21
29-06-2021

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარეს,

ბატონ დავით ფუტკარაძეს

ბატონო დავით,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

2018-2021 წლების განმავლობაში, ფიზიკური პირისა და იურიდიული პირის მიერ გაცემული რა რაოდენობის მინდობილობა დამოწმდა სანოტარო წესით საქმისწარმოების უფლებამოსილების მინიჭების მიზნით? გთხოვთ, აღნიშნული მონაცემი მოგვაწოდოთ ყოველი წლისთვის ცალ-ცალკე, (ა) როდესაც მინდობილობის გამცემი იყო ფიზიკური პირი, (ბ) როდესაც მინდობილობის გამცემი იყო იურიდიული პირი.

წინასწარ გმადლობთ ინფორმაციის გაზიარებისთვის და თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge

KA010112486174321

№10875

15 / აგვისტო / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2020 წლის 29 ივნისის № 6650/4-2/21 მომართვის პასუხად, რომლის თანახმადაც ითხოვთ ინფორმაციას 2018-2021 წლების განმავლობაში ნოტარიუსების მიერ ფიზიკური პირისა და იურიდიული პირის მონაწილეობით დამოწმებული მინდობილობების თაობაზე, გაცნობებთ შემდეგს:

ერთიან ელექტრონულ სანოტარო რეესტრში არ მუშავდება სტატისტიკა მინდობილობის/ რწმუნებულების შინაარსის ან/და მასში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირების მიხედვით.

2018 წლიდან 2021 წლის პირველ ივლისამდე პერიოდში, საერთო ჯამში, სანოტარო წესით დამოწმებულია 1 218 984 მინდობილობა/რწმუნებულება.

დანართ ცხრილში ასახულია სტატისტიკური მონაცემები 2018 წლიდან 2021 წლის პირველ ივლისამდე პერიოდში წლების მიხედვით დამოწმებული მინდობილობის/რწმუნებულების შესახებ.

დანართი: 1 (ერთი) ფაილი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრი

რატი ბრეგაძე

სტატისტიკა

2018 წლიდან 2021 წლის 01 ივლისამდე პერიოდში

სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობების/რწმუნებულების შესახებ

აქტის ტიპი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	01.01.2021 - 01.07.2021-მდე
პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება	57,477	69,435	90,061	51,073
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება	291, 451	317, 139	198, 967	143, 381
ჯამში მინდობილობა :	**348,928**	**386,574**	**289,028**	**194,454**